რედაქცია
სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირ ველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზია-ში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»
«დროების» ფასი
მთელის წლისა . . . 9 მან. სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა. . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა ...
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ[რ]უნებს ავტორს.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის - მოწერა
მომავალ 1884 წლისათვის გაზეთს
## დროებაზედ
თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.
ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.
გორში, საზოგადოების დეპოში, ალ[ე]ქსი თუთაევთან.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».*
ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| წლით (12 თვით) | — — 9 მან. | 6 თვით | — — 5 მან. |
| 11 თვით | — — 8 მ. და 50 კ. | 5 თვით | — — 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით | — — 8 მან. | 4 თვით | — — 4 მან. |
| 9 თვით | — — 7 მ. და 50 კ. | 3 თვით | — — 3 მან. |
| 8 თვით | — — 7 მან. | 2 თვით | — — 2 მან. |
| 7 თვით | — — 6 მან. | 1 თვით | — — 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.
ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

## ტელეგრამები
(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

4 ნოემბერს.

**ტაშკენტი**. აქ იყო სუბური მიწის ძვრა.

**ხარკოვი**. სახელმწიფო ქონებათა მინისტრი და მისი ძმა, დრამატურგი, წავიდენ პეტერბურგში.

**ფრიდრისრუე**. როცა რკინის გზის მატარებლით მოვიდა რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი, ბისმარკი მიესალმა გირსს და მეგობრულად მოიკითხა იგი ფრანცუზულს ენაზე.

**ჰამბურგი**. რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ჰამბურგზე გაიარა და შვეიცარიისკენ წავიდა.

**პეტერბურგი**. სამხატვრო აკადემიის რექტორი იანიშევი დაინიშნა მათ დიდებულებათა მოძღვრად.

1883 წლის 1-ს სექტემბრამდე სახელმწიფო შემოსავალი იყო 391,634,316 მანათი, შარშანდელზედ ნაკლები 5,657,068; გასავალი კი იყო 419,518,420 მანეთი, შარშანდელზე მეტი 22,900,205 მანეთი.

**პეტერბურგი**. დღეს ხელმწიფე იმპერატორის და იმპერატრიცის თანადასწრებით აკურთხეს პეტერბურგის ვაჭრების საზოგადოებისაგან დაფუძნებული პეტროვის სასწავლებლის შენობა.

**სარატოვი**. ნაოსნობა შეჩერდა; ვოლგა მატულობს; 5⁰ სითბოა.

**სოფია**. ხელი მოაწერეს მორიგებას, რომელიც განმარტებს რუსის ოფიცრების მდგომარეობას ბულგარიაში. მორიგების უმთავრესნი მუხლნი არიან შემდეგნი: სამხედრო მინისტრს უნდა ნიშნავდეს მთავარი ალექსანდრე ხელმწიფე იმპერატორის თანხმობით; სამხედრო მინისტრი არ უნდა ერეოდეს სამთავროს შინაურ საქმეში და პასუხს აგებს წინაშე მთავრისა და საერო კრებისა თავის მოქმედებაში და სამხედრო ბიუჯეტის მესახებ; ხელმწიფე იმპერატორის ნება დართვით სამის წლის ვადით უნდა იღებდენ რუსის ოფიცრებს ბულგარიის სამსახურში ეს ოფიცრები უნდა ემორჩილებოდენ მთავარს, კონსტიტუციას და ბულგარიის კანონთა.

## კრედიტი მამულის პატრონთათვის.

თბილისი, 5 ნოემბერი.

ერთ-ერთი დანიშნულება სახელმწიფო ბანკისა, რომლის განყოფილებანი იმპერიის ყველა უდიდეს ქალაქებში არსებობენ და, სხვათა შორის, თბილისშიაც, არის ის, რომ კერძო პირებს კრედიტი გაუხსნას და გაჭირების დროს ხელი გაუმართოს, რასაკვირველია, გირაოს წარდგენის შემდეგ. სამწუხაროდ, სახელმწიფო ბანკები ისე არიან მოწყობილნი, რომ კრედიტი მხოლოდ ორიოდ დიდ ვაჭარსა აქეს გახსნილი; წვრილი მოვაჭრენი და მეტადრე მამულის პატრონნი კი კრედიტს ან სრულიად მოკლებულნი არიან, ან იმოდენა სარგებელი უნდა მისცენ, რომ ხშირად კერძო კაცისაგან სესხებას არჩევენ და ბანკს კი არ მიმართვენ.

«დროების» ფელეტონი, 6 ნოემბერი.

## კვირის საუბარი.

სათაურადლეპო საქმე.—ჩვენი ადვოკატები და მათი ჩვეულებანი.—ჩვენებური «ჩერვონი ვალეტები».—ბ. სუნდუკიანცი და ბ-ნი ნიკოლაძის ბოროტ-მოქმედება მის წინააღმდეგ.—ბ. სუნდუკიანცის მოთხრობა ამ საქმის შესახებ.

ერთი კვირაა სწორედ, რაც მთელი თბილისი ლაპარაკობს ბ. მინგრელსკის ვექილების და მეგელიების საქმეზე. ქუჩაზე, სახლში, დარბაისელი და უსაქმო კაცი, ერთი სიტყვით ყოველი და ყოველგან გარემოცულია რაღაც უხილავი ძალით, რომელიც თითქმის მთელი საზოგადოების გონებას აღარჯიშებს ამ უცნაურ საქმეზე. სულ უცნობი ხალხი ეკითხება ერთი მეორეს: «წაიკითხეთ? და აჩქარებული პასუხის შემდეგ:—იმე! რა საკითხავია, წავიკითხავდი მაშ რას ვიზამდით!» მკითხველი და მოპასუხე ხმა ამოუღებლად, გაოცებული უცქერიან ერთი მეორეს და დიდ მნიშვნელოვნად, საგულისხმოდ აქნევენ აქეთ-იქით თავს. ამ თავის ქნევის პირ-და-პირი მნიშვნელობა, როგორც თვითონ მკითხველიც მიხვდება, ის არის, რომ «თოკი, თოკი,—იგიც ცოტა დამნაშავეთათვისო!»

მაგრამ რა საქმეა ეს საქმე?

სასაცილოა ეს კითხვა, მაშინ, როდესაც, ვიმეორებ, არ მოიძებნება კაცი, რომელმაც ზედ მიწევნით არ იცოდეს ამ საქმის გარემოება. ვიტყვით მხოლოდ რომ თვით საქმე სულ უბრალოა და—თუ ჩემ კერძო აზრსაც იკითხავთ,—სრულიადაც არ არის ისე გასაოცარი, როგორც მკითხველი და მასთან მთელი საზოგადოებაც ჰფიქრობს. ჩვენი ფიქრით ბ. ტერ-სტეფანოვი და თომა აზვლედიანი, თუ მაინცა და მაინც სასამოთხე ხალხი არ არის, არც იმისთანა ცოდვილები არიან, რომ საქმის გამოუკითხავად და გაუნარჩეველად, პირ-და-პირ ჯოჯოხეთში გაიგზავნონ.

მართლა და, რაში ამტყუნებენ ბბ. ტერ-სტეფანოვს და აზვლედიანს? რა ამისთანა დიდი წარმოუდგენელი ბოროტება ჩაიდინეს მათ? აწამეს კაცი, ჩამოაღრჩვეს ვინმე გოლოვინის პროსპექტზე, გადაყლაპეს მცხეთის სობორო, მოიპარეს ციდამ მზე და შეინახეს ყუთში, თუ რა ჰქნეს?! არც ერთი და არც მეორე. მზე—თვითონაც შეგიძლიათ შეამოწმოთ—თავის ალაგას არის, მცხეთის სობოროც,—ამაზე მე დაგარწმუნებთ—არ დამძრულა, საქმე მხოლოდ ის არის, რომ ზემო-დასახელებულ ვაქ-ბატონებს აბრალებენ მისთანა საქმეს, რომლის მსგავსი ათასობით ჰხდება ჩვენში და რომელიც თითქმის ჩვეულებად გადაექცა ჩვენს ადვოკატობას. მართლა და მიბძანეთ ერთი, რა არის ჩვენში ადვოკატი? ეს ის ყოვლის-მომქმედი და ყოვლად მოხერხებული პირია, რომლისთვის არაფერი შეუძლებელი და მოუხერხებელი არაა ქვეყანაზე,—ჯეროვანი დაჯილდოვების შემდეგ, რასაკვირველია. ის ერთგვარი თავ-გამომეტებით ათეთრებს შავს, აშავებს თეთრს და აძაგებს სიმართლეს და თაყვანს სცემს უსამართლობას. ეს უცხო თვისებები მით უფრო ზვიადდებიან თან-და-თან, რაც უფრო იზრდება ადვოკატის მსუნაგობა და იხსნება მისი მადა. დახელოვნებული ადვოკატი ჩვენში—ეს იგივე ფოკუსნიკი ეპშტეინია, რომელიც ადვილად ჰყლაპავს შპაგებს, ამოაქვს პირიდამ დაუბოლოვებელი ბაწარი და საკუთარ ჯიბეში ალაგებს თქვენის ჯიბიდამ. ერთის სიტყვით, ჩვენი ადვოკატების ხელში დიდი ხანია რაც სიმართლე გადიქცა ალესილ დანად, რომელიც მათთვის საკუთრად ყველის საჭრელი ნივთიერებაა და სხვებისთვის, უბრალო მაკვდავებისთვის კი—ყელის გამოსაჭრელი იარაღი.

მათს ჩვეულებრივ მოქმედებასთან შედარებით ბბ. ტერ-სტეფანოვის და თ. აზვლედიანის გაიძვერაობა არაფერს გენიოსურ ბოროტ-მოქმედებას არ შეადგენს. ეს ვაქბატონები არიან ვექილები და—როგორც შეჰფერის ამ გვარი ჯურის ხალხს,—სხვისი პურმარილით იკვებებიან ხოლმე. ამისათვის ისინი ჰრაცხენ თავიანთ თავს ვალდებულად იზრუნონ ამ «სხვისთვის» და ყოვლის საშუალებით, სიმართლით და უსამართლობით, გაამრავლონ მისი ავლა-დიდება. ეს, ვიმეორებ, ასეა მიღებული ჩვენს საზოგადოებაში და ისინიც ამ საზოგადო ჩვეულებას მისდევენ. რა გასაკვირველია, მაშასადამე, რომ მათ მოინდომეს ჩაეგდოთ ხელში ქვიბიის მთა და, ჩვეულებრივად, სიმართლის უქონლობის გამო, მიჰმართეს უსამართლობას. ეს მით უფრო არაა გასაკვირველი, რომ ამ შემთხვევაში მათ უწყობდენ ხელს თვითონ საზოგადოების წევრები და მერმე როგორი წევრები—«საუკეთესო და პატივცემულნი პირნი», რომელთაც აზრშიაც არ მოსვლიათ გაეწიათ წინააღმდეგობა ვექილებისათვის, ან ჩაეშალათ მათი საქმე. ამ «პატიოსნებმა და ყველასგან პატივცემულმა» პირებმა მოახდინეს ის, ურომლოდაც ხსენებულ ვექილებს არ შეეძლოთ მოეყვანათ სისრულეში თავიანთი განზრახვა. ნათელი და ყველასაგან ადვილად გასაგები სიგელი გადაიქცა რაღაც ეგვიპტის იეროგლიფად, რომლის ახსნა ასეც შეიძლება და ისეც.

Ის საფუძველი, რა საფუძვლითაც სახელმწიფო ბანკიდამ კერძო პირთ სესხი ეძლევათ, სწორედ გასაშტერებელია და თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ სახელმწიფო ბანკის წესები მხოლოდ ჯიბე-სქელ კაპიტალისტებს ემსახურებიან, თუნდაც ამის გულისათვის მათ უაზრობა დასწამოს ვინმე. წარმოიდგინეთ, რომ სახელმწიფო ბანკი თითქმის ყოველთვის ერთი პროცენტით ნაკლებ იღებს სარგებელს იმ პირთაგან, რომელნიც ორის კაცისაგან ხელ-მოწერილს თამასუქს წარადგენენ, და იმ პირთ კი მეტს ართმევს, რომელნიც გირაოდ არდგენენ სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდებს. Ეს ისე გამოდის, თითქო სახელმწიფო ბანკი ორს კაცს უფრო ენდობა, ვიდრე თვით სახელმწიფოს.

Ესეთი უცნაური და შეუსაბამო მიმართულება სახელმწიფო ბანკის მოქმედებისა, მიმართულება, რომელიც მხოლოდ ვაჭრებს უმართავს ხელს, დიდი ხანია შეამცნია საზოგადოებამაც და თვით ბანკის გამგეობამაც და წარსულს მაისში გამოიცა კანონი, რომლის ძალით სახელმწიფო ბანკს ნება ეძლევა გასცეს სესხი მამულის პატრონებსაც სოლო-თამასუქებზედ, ე. ი. იმ თამასუქებზედ, რომლებზედაც მარტო მამულის პატრონის ხელი იქნება მოწერილი. Მხოლოდ ერობის წევრთ და, სადაც ერობა არ არის, წარჩინებული პირთ უნდა მისცენ მოწმობა მსესხებელს, რომ იმისი მამული უფრო მეტსა ფასობს, ვიდრე ის სესხი, რომლის აღებასაც აპირებს. Ამ გვარ სოლო-თამასუქებზედ აღებულ სესხს ცხრა თვე ექნება ვადა და აღების უმალვე ნოტარიუსისაგან შეიკვრის მამული და ფული თუ ვადაზედ არ იქნება შეტანილი, ბანკი მამულიდამ თავისას შეისრულებს. Ეხლა კიდევ გამოსულა დამატებითი კანონი, რომ სოლო-თამასუქებზედ არამც თუ მაშინ გაიცეს სესხი, როცა მამული სრულიად თავისუფალია, არამედ მაშინაც, როცა ვალი სძევს. Ამ შემთხვევაში განსხვავება ის იქნება, რომ მამული ორჯერ შეიკვრის.

Იმედია, რომ ეხლა მაინც ყოველ გვარი სასიკეთო ცვლილება ჩვენს ქვეყანასაც შეხვდება წილად და ეს ცვლილებაც შესახებ სოლო-თამასუქების განაღდებისა ჩვენს მამულის პატრონებსაც მისცემს შეღავათს. Ამ უკანასკნელთ ამ გვარად გაადვილებული კრედიტი ძალიან ხელს მოუმართავს.—ჩვენ იმ მამულის პატრონებზე არა ვლაპარაკობთ, რომელნიც ფულს დროს გასატარებლათა სესხულობენ—მაგრამ შეიძლება ერთმა გარემოებამ დააბრკოლოს ისინი,—ეს არის ნოტარიუსისაგან გირავნობის მოწმობის აღება, იმ მოწმობისა, რომლითაც ნოტარიუსი ამოწმებს, მამული თავისუფალია ვალისგან, და ან თუ ვალი აძევს, ამდენი აძევსო. Დიდი შეღავათი იქნება აგრეთვე მამულის პატრონთათვის, თუ ერთხელ აღებულს გირავნობის მოწმობას ყოველთვის თავისი ძალა შერჩება და მამულის პატრონს მუდმივ ექნება საშუალება იმითი სესხის აღებისა: ეს პრაქტიკულად ადვილად მოსახერხებელია, თუ კი კანონი შესაფერად იქნება შედგენილი.

Სრული იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი კანონი ჩვენშიაც გადმოინერგება და მამულის პატრონს, თუ ვაჭარზედ მაღლა არ დააყენებს კრედიტის მხრივ, გვერდში მაინც ამოუყენებს.

## ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

Როგორც გაზ. «ნოვოე ვრემია» გვატყობინებს, გამოჩენილი რუსის მწერალი ნ. გ. ჩერნიშევსკი დაუბრუნებიათ რუსეთში და ამ ჟამად ასტრახანში იმყოფება. გაზეთის სიტყვით მოხუცებული მწერალი სრულიად ჯანმრთელად არის.

«დროების» რედაქცია ბოდიშს იხდის გუშინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ლექსის ავტორთან, რომ მისი ლექსი, უნებლიედ და უდროოდ დაიბეჭდა თუმცა კარგა ხანია რაც რედაქცია იმის დაბეჭდას აპირებდა.

Ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს ჩვენის საზოგადოებისაგან ცნობილს პირს დაუწერია ისტორიული დრამა ჩვენის ცხოვრებიდამ ლექსად, რომლის ორი მოქმედება კიდეც წაუკითხავს ზოგიერთებისათვის. Მსმენელთ დრამა ძალიან მოსწონებიათ. Შინაარსი ამოღებულია თურმე გიორგი მესამის, თამარ მეფის მამის ცხოვრებიდამ.

Ჩვენი კორესპონდენტი გვწერს ზათუმიდამ: «იმის დასამტკიცებლად, თუ რა უღმერთოდ ეპყრობიან რკინის გზებზე მუშა ხალხს რკინისავე გზის სხვა-სხვა მოხელეები, დავასახელებთ შემდეგს ფაქტს.

Ერთმა მუშამ, რომელიც ზათუმის ახლო-მახლო მუშაობდა რკინის გზაზე, ავად-მყოფობის გამო ვერ მოასწრო აეღო თვისი ერთი თვის, აგვისტოს, ჩვედრი ჯამაგირი. Ავად-მყოფმა ვექილობა მე გადმომცა. ის ფული უნდა ამეღო დისტანციის უფროსის რემონტის კანტორიდამ.

Ავიღე მეც ვექილობა და მივადექ კანტორას ფულის ასაღებად. Ჩემდა უსიამოვნოდ, აი რა შევიტყე: თურმე საცოდავს მუშებს ორ თვეში ერთხელ აძლევენ ჯამაგირს—ერთი თვის ჯამაგირს ყოველთვის უჭერენ—ამას ეძახიან გირაოს ან ЗАЛОГЪ-ს, რომ უფრო დიდხანს იმუშავებსო ის ფულიც, რომელიც მე უნდა ამეღო, თურმე ასე ზალოგად დარჩენილი ყოფილა. Ერთი თვე ვიარე და ეს ფული ვერ ავიღე. Ხან მეუბნებიან, კანტორშჩიკი აქ არა ბძანდებაო, ხან სორტიროვშჩიკიო, ხან დისტანციის უფროსის თუ ასეთი მძღოლი ასაღები ყოფილა ეს «ზალოგის» ფული, ვინ იცის რამდენმა მუშამ მიანება თავი მას და გაუდგა სასხლისკენ. Თუ მე ასე მაწვალებენ და თვალთმაქცურად თვალებს მიბამენ, რომელსაც ვექილობის გარდა, ლაპარაკიც შემიძლიან, რა უნდა ჰქნას საწყალმა მუშამ, რომელიც ატუზულა კანტორის კარებთან, და განკალით ეუბნება მიბოძეთ ჩემი ფულიო,

Მაშასადამე აქაც თვითონ საზოგადოება, არის თავი დამნაშავე და არა ის საცოდავი ვექილები, რომელთაც, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, აგრე გულმოდგინედ ახვევენ ეხლა ყველანი მათსაც და სხვების ცოდვებსაც.

Ამ სხვა-და-სხვა მიზეზებში არის ერთი, რომელიც უნდა ჩაითვალოს ამ საქმის გაზვიადების უმთავრეს მიზეზად. Ჩვენ ვამბობთ იმ შედეგზე, რომელიც მოჰყოლია ქიზიის მთაზე ატეხილ დავას და რომელმაც განსაკუთრებით მიიზიდა საყოველთაო ყურადღება. Როგორ ჰფიქრობთ, ბ. Თუმანიშვილის წერილში რომ არ ყოფილიყო აღწერილი დაწვრილებით ზეგელიების ეხლანდელი სამწუხარო მდგომარეობა, მათი ქაპან-წყვეტა, მათი მატერიალური დამცირება, ვალებში ჩავარდნა, ქალის ჭკუიდამ შეშლა და სხვა და სხვა,—აღწერილი აგრე განმარტებით და აგრე გრძნობით,—აღძრავდა ეს საქმე ამდენს ლაპარაკს და ამდენს სჯას? Რასაკვირველია არა! Რამდენი საქმე მომხდარა ჩვენში და ჰხდება კიდეც, რომელნიც ბევრად უფრო შესამჩნევნი არიან, ვინემ ზეგელიების საქმე, მაგრამ მათ მათ არ აუღელვებიათ საზოგადოება და არ აუღელვებია იმისთვის, რომ მარტო ცარიელი საქმის შინაარსისთვის მიუქცევიათ ყურადღება და არ უკითხავთ, თუ რა მოსდევს ხშირად ამ გვარ საქმეებს. Მაშ, მითხარით ერთი, რა ვექილების ბრალია, რომ საზოგადოებამ ინება ეხლა სხვა თვალით შეეხედა ამ საქმისათვის, ვინემ ეს ჩვეულებრივად ჰქონდა მას მიღებული?

***

Დიახ, მე თუ მკითხავთ, ბბ. Ტერ-სტეფანოვი და Ახვლედიანი სრულიადაც აგრე შესამჩნევი პირები არ არიან, განსაკუთრებით ბ. Ტერ-სტეფანოვი. Არც ერთი მისი მოქმედება ამ საქმეში წინდახედული, ბოროტმოქმედებაში გამოქნილი გაიძვერას მოხერხებას არ ამტკიცებს. Ის, როგორც ჰსჩანს ამ საქმის გარემოებიდამ, ერთი რაღაც აბუჩა, ერთი ვიღაც «ლენჩი» უნდა იყოს, რომელიც ღალღის მოუსაზრებლობით თვითონ ჰყოფს თავს მახეში და არა თუ არ ჰფიქრობს იმ განსაცდელზე, რომელიც მას მოელის,—პირ-იქით, დაჯერებულია, რომ ამ მოუსაზრებლობის საქვეყნოდ გამოაშკარავება მისი უუწმინდესი ვალდებულებაა. Მოიგონეთ მარტო ბ. Თუმანიშვილის წერილში მოყვანილი სიგელის მოპარვის ამბავი და, განსაკუთრებით, ამ ქურდობის გამომქღავნების შემდეგ შეთხზული ზღაპარი და იძულებული იქნებით დამეთანხმოთ, რომ ზოგიერთი ადამიანის სისულელეს ხან და ხან სამზღვარი არ უწერია თურმე.—«წადი შენ, ბიჭო,—ასე უთხრა თურმე მოხერხებულმა ვექილმა ერთ გლეხს,—მიუტანე ეს სიგელი გამომძიებელს და მოახსენე, რომ მთავრინას ეზოში სეირნობის დროს უცაბედად ფეხი წამოჰკარი მას». Ბატი, და არა თუ უბრალო,—კრუხი ბატი—იგიც კი მოახერხებდა სხვა რამე უფრო ადვილად დასაჯერებელი ისტორიის შეთხზვას და არ იკადრებდა გაეჯახირებინა თავი იმ გვარი გამართლებით, რომელიც უსუსურ ბავშვებისთვისაც კი სასაცილო და წარმოუდგენელია.

Რაც შეეხება ბ. Ახვლედიანს, თუმცა არც მას გამოუჩენია ამ საქმეში დიდი გენიოსობა, მაგრამ, ცხადია, რომ მისი მოხერხება ბ. Ტერ-სტეფანოვის მოხერხებასთან შედარებით, ბევრად უფრო დიდია და შესამჩნეველი. Ბაბედვით შეგვიძლია ვთქვათ კიდეც, რომ Ახვლედიანს რამე განათლება და ცოდნა ჰქონდეს, რასაკვირველია, იმ ზნეობითი საუნჯის თანდამატებით, რომელიც ეხლა აქვს, მისგან საშიშარი და მოსარიდებელი ტარტაუჭი გამოვიდოდა. Ამ აზრის დასამტკიცებლად ნება მიბოძეთ მოგითითოთ ერთ მისს გენიოსურ და თან გაიძვერულ მოქმედებაზე, რომელზედაც იწერება «დროების» მე-221 №-ში ბ. მიხეილ Დარახველიძე.

Ამ უკანასკნელის წერილიდამ ჰსჩანს, რომ ბ. Ახვლედიანს, მთავრინა Ეკატერინა Დადიანისაგან გადაცემულ ვექილობით, მაგრამ, რასაკვირველია, მისდა უცნობად, გადუცია იჯარით ერთს და იმავე დროს, ერთი და იგივე მამული ორ სხვა-და-სხვა პირისათვის და ორივესაგან აუღია ერთი და იგივე ფასი. Ეს მამული—პალიასტომის სათევზეა, მოიჯარადრე პირები—ერთი თვით ბ. Ახვლედიანის ნათლიმამაა, ვიღაც Არჯევანიძე და მეორე—ახალციხელი ვაჭარი Დაურჯაევი. Თუმცა ბ. Ახვლედიანი ფასის აღებაში მეტისმეტი სამართლიანობით მოქცევია ორივე ზემოხსენებულ პირებს და ორივესათვის თანასწორად ორ-ორი ათასი მანათი გამოურთმევია, მაგრამ რაც შეეხება საიჯარადრო მამულს, ის კი მარტო ერთისთვის — თავის ნათლი-მამისთვის მიუნიჭებია. Საბრალო Დაურჯაევი კი დაუკმაყოფილებია უფრო სხვა გვარად. Ბ. Ახვლედიანი დახდომია მას ტყის მცველებით და იმდენი უცემია, სანამ ამ უკანასკნელს არ დაუჯერებია თავისი ჯალათი, რომ იმ ორი ათას მანეთად ღირებული ცემა უკვე მიღებულიაო. «რა თქმა უნდა, ამბობს დასასრულ ბ. Დარახველიძე, რომ არც მთავრინა და არც თ. მინგრელსკი არ ინებებდენ ერთი და იმავე ნივთის ორჯერ გასყიდვას. Ამისათვის შემდეგი კითხვა იბადება: რომელი იჯარის ფული გარდასცა ბ. Ახვლედიანმა მეპატრონეს: პირველი ორი ათასი მანეთი, თუ მეორე?»

ნუ დაიდებთ ჩემი ცოლშვილის ცოდვასაო!

ბბ. ი. მრევლიშვილი და ა. ღულაძე გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: «ჩვენმა საზოგადოებამ უკვე იცის, რომ შარშან ტერმინების შესამუშავებლად ინიშნებოდენ კრებანი, რომელნიც ზაფხულის გამო შეწყვეტილ იქმნენ.

ტერმინოლოგიური კრებანი დაიწყებიან ხელ-ახლად ხუთშაბათს, ამ თვის 10-დამ და შემდეგშიაც ყოველ ხუთშაბათს იქმნება დანიშნული «დროების» რედაქციის ზალაში, რადგანაც ქალაქის რჩევის ზალა, სადაც უწინ ინიშნებოდენ ხოლმე ჩვენი კრების სხდომანი, დაიწვა».

«მწყემსი» გვატყობინებს, რომ სამღვდელოების დეპუტატთა კრებას, რომელიც ეხლა ქუთაისშია გამართული, სხვათა შორის ექნება მსჯელობა უწმიდესის სინოდის წინადადებაზედ შესახებ იმისა რომ სამღვდელოებისაგან შეწირული 333,000 მანათი სინოდის უწყებას გადაეცეს. ეს გადაცემა იმ პირობით უნდა მოხდეს, რომ სინოდი თავის მხრით ქუთაისის სემინარიას სწირავს ერთ დროებითად 200,000 მანათს და სამღვდელოებისაგან შეწირული ფულის სარგებელს ყოველ წელს გამოგზავნის 16,670 მანათს.

გაზეთი აცხადებს დიდს იმედს, რომ შეიძლება ქუთაისი მალე ეღირსოს სემინარიის გახსნას, რადგან ყოველივე გარემოება ხელს უწყობსო და ჩვენც დიდის თანაგრძნობით ვეგებებით ამ ხმას, მხოლოდ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ შემოქმედი იქნებოდა დასავლეთ-საქართველოს სამღვდელოებას თავისი თანხა სხვა უფრო ახლო დაწესებულებაში შეენახა მაგ. სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში.

«კავკაზი» გვაუწყებს, რომ 5-ს ნოემბერს უნდა ყოფილიყო თბილისში პირველი სხდომა იმ კომისიისა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პროექტი რწყვისა და ჭაობების დაშრობისა კავკასიაში. თავმჯდომარედ ამ კომისიისა არის ი. ი. ტიხეევი და წევრებათ რამდენიმე ჩინოვნიკი. აგრეთვე მოწვეულნი არიან კომისიაში არხების პატრონები და გამოცდილი მირაბები თითო,—თითო გუბერნიიდამ ერევნისა, განჯისა, ბაქოსი, და თერგის ოლქიდამ.

იგივე გაზეთი გვატყობინებს, რომ ქუთაისის გუბერნატორს სმეკალოვს დაუვლია რაჭა და იმდენი აკაცობა არ უნახავს, როგორც იწერებიან, მხოლოდ შეუმცნევია რომ სესხის გაცემის დროს ბოროტ-მოქმედება სჩადის, მაგ. 100 მანეთზე 1000 მანეთიანის თამასუქების დაწერა და სხვ. სმეკალოვს განუზრახავს ამ ბოროტ-მოქმედების მოსპობა, თუნდა ამისათვის უკიდურესი საშუალების მიღება დასჭირდეს; გუბერნატორს აუკრძალავს აგრეთვე იარაღის ტარება ქორწილობებზედ და დღეობებზედ და ეს განკარგულება ხალხს მადლობით მიუღია, როგორც იგივე «კავკაზი» ამბობს.

ამ უკანასკნელი ღონის-ძიების მიღებით, რასაკვირველია, შემცირდება ერთმანეთის ხანჯლებით ჭრა და კაცების ხოცვა, მაგრამ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ: თუ ქორწილობებზედ და დღეობებზედ იარაღის ტარება აკრძალული იქნება, იმ ხალხსაც უნდა აეკრძალოს, რომელიც დღეობებზე, ქორწილობებზედ და სხვ. გზად მიდის, ან იქიდამ მოდის. ამითაც არა დაშავდება—რა, თუ კი ამ განკარგულებას იმოდენა ძალა ექნება, რომ «გზად-მიმავალს» ყაჩაღებსა და ავაზაკებსაც «აეკრძალებათ» მშვიდობიან ხალხთან ერთად იარაღის ტარება!

ერთი ინგლისური გაზეთი ამბობს: მას შემდეგ რაც ბაქოს გზა გაიხსნა, ნავთი ისე გაიაფდა რომ შავის ზღვის გემებზედ ნახშირის მაგივრად ნავთს იხმარებენო, რადგან ნავთის სითბო სამჯერ მეტია საუკეთესო ქვა-ნახშირის სითბოზედაო. მალე ყველა სამხედრო გემები ნავთით იმუშავებენ და რაც ამისათვის საჭირო გარდაკეთება დასჭირდებათ, ყოველს ამას ნობელის კომპანია ასრულებსო.

—

შეცდომის გასწორება. გუშინდელს №-ში, ფელეტონის დასაწყისში, სწერია: «21 ნოემბერს,—უნდა წაიკითხოს: «2 ნოემბერს».

## რუსეთი

— «პეტერბურგის ლისტოკის» სიტყვით ბევრი სოფლელი საზოგადოება შუამდგომლობს თურმე სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე, რომ სახალხო სკოლებში შემოღებულიქმნას სახელოსნოს სწავლება.

— გაზ. «რუსკი კურიერის» სიტყვით, რომ სმოლენსკის გუბერნიის კრება შუამდგომლობს მთავრობის წინაშე საოსტატო სემინარიებში სასოფლო მეურნეობის სწავლების შემოღებასაო; შუამდგომლობს აგრეთვე იმასაც, რომ რეალურ სასწავლებელთა პროგრამაში მომეტებული ყურადღება ჰქონდეს მიქცეული ბუნებითი საგნების სწავლებას, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. სახალხო განათლების სამინისტროს პატივი უცია ამ შუამდგომლობისთვის და მხედველობაში იქონიებს მას, როდესაც განიხილავენ საოსტატო სემინარიების დებულებათა და რეალურ სასწავლებელთა წესდებას.

## უცხოეთი

— ამ ცოტა ხანში გენერალს შარეტს პარიჟის გრაფი უნახავს და ამ შემთხვევას მეტის-მეტად აულაპარაკებია საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთები. ეს იმის ნიშანიაო, სწერენ ისინი, რომ მთლად ლეგიტიმისტების პარტია თანახმაა ორლეანები აღიაროს საფრანგეთის ტახტის მემკვიდრეთაო.

— ბერლინიდგან იწერებიან, რომ იქ მისულან ორლეანების აგენტები იმ განზრახვით, რომ ბერლინის სასახლე დაეყოლიებინათ და მათს სასარგებლოდ ემოქმედებინათ, მაგრამ ისინი იქ ძალიან გულგრილად და ცივად მიუღიათ და ამ გარემოებას

---

რასაკვირველია, საინტერესოა ეს კითხვაც, მაგრამ ჩემი ფიქრით ისე არა, როგორც ზემო-მოყვანილი ჩემი კითხვა; რა იქნებოდა ბ. აბელედიანი, რომ მას უფრო მეტი ცოდნა ჰქონოდა? როგორ ჰფიქრობთ, გადაყლაპავდაა იგი მაშინ მთელ მხარეს თავის დაბებით და ქალაქებით, თუ გაეჩხირებოდა იგი მას კისერში? ჩემის ფიქრით, მიწის ძვრაც ვერ დააქცევდა ისე ჩვენ ქვეყანას როგორც ამ გვარი გმირი.

რამოდენიმე წელიწადია მას აქეთ, მოსკოვში სწარმოებდა ერთი დიდი პროცესი ეგრეთ წოდებული «ჩერვონი ვალეტებისა», რომელთ ბოროტმოქმედების გამომჟღავნებამ საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ რუსეთზე. სხვათა შორის გამოჩნდა მაშინ, რომ ეს «ვალეტები» რაღაც მანქანებით ახერხებდენ სხვის მამულების გაყიდვას, რა გარემოებამაც მეტის-მეტად გააკვირვა მთელი საზოგადოება და აალაპარაკა «ვალეტების» მოხერხებულებაზე. ეხლა ჩვენც შეგვიძლიან დავიმშვიდოთ ჩვენი პატრიოტული გრძნობა: თუ რუსეთს ჰყავდა «ვალეტები»,—არც ჩვენ ვყოფილვართ მოკლებული მათ, რადგანც—ცხადია,—ბ. აბელედიანისთანა პირები იგივე «ვალეტებია», მაგრამ უცხოეთელი კი არა,—ჩვენებურები, ნამდვილი ჩვენ სამშობლო ნიადაგზე აღზრდილნი და აჰყვავებულნი...

***

მაშა სადამე, მკითხველსა აქვს სრული უფლება იამაყოს ამ გარემოებით. მაგრამ, სანამ ეს სიამაყე უგრძნობელად გახდიდეს მას ყველა სხვა გარემოებათა შესახებ, მე მსურს მივაქციო მისი ყურადღება ერთ სამწუხარო შემთხვევაზე, რომელსაც აქვს აშკარა კავშირი საზოგადოდ ჩვენებურ ვითარებასთან... ეს საქმე მეტად მძიმეა, რადგანაც მსხვერპლი—სომხების გამოჩენილი დრამატურგი ბ. გ. ს—ია და ბოროტ-განმზრახველი კი—ეჰა, გლუბანელო სირცხვილო!—ჩვენი ლიტერატორი ბ. ნ. ნ—ძე. ამისათვის უმორჩილესად ვთხოვ ბბ. მკითხველებს, ძველი ებრაელების ჩვეულებრივისამებრ, მოიგლიჯონ საკინძი, დაიყარონ თავზე მტვერი და «ცრემლთა ფრქვევით» მოისმინონ შემდეგი სამწუხარო ამბავი...

შეთქმულობა ბ. ს—ის წინააღმდეგ მოხდა 20 ოქტომბერს, ე. ი. რუსეთის დრამატურგის ა. ნ. ოსტროვსკის პატივსაცემლად გამართულ ქართულ წარმოდგენის დღეს... უფრო გულ-და-გულ რომ გამოვიძიოთ საქმე, ამ შეთქმულობის ნამდვილი დასაბამი ეკუთვნის კიდევ უფრო უძველეს დროს, და, სახელდობ, იმ დროს, როცა მომავალი დრამატურგი, ჯერ უსუსური ბავშვი, ახლად ამოყვანილი ემბაზიდამ, ხელში ეჭირა ნათლიას.—რა დავარქვათ? ჰკითხეს უკანასკნელს და—«გაბრიელიო!» მოისმა პასუხად. მას აქეთ განხორციელდა—ვიტყვით ჩვენც—სიტყვა იგი წინასწარმეტყველებისა, რომელიცა ლაღად-ჰყოფს:

«მირბის-მორბის გაბრიელი,
არ ვინ არის მადლიერი.
არც რუსი და არც ქართველი»!

და ეს უმადურობა კი სათვალსაჩინოდ გამოაშკარავდა ამ ბოლო დროს, ე. ი. ზემო-ხსენებულ 20 ოქტომბერს და მის შემდეგ. ერთმა «დროების» თანამშრომელმა უსაყვედურა ბ. ს—ს იმ «შეუსაბამო საქციელის» გამო, რომელიც ვითომ ჩაიდინა პატივცემულმა დრამატურგმა ბ. ოსტროვსკის ლოჟიდამ საზოგადოებისთვის მადლობის გადახდით. ამ «უსამართლო» საყვედურით გამოჯავრებული ბ. ს—ი მოგვითხრობს ეხლა «დროების» ფურცლებზე, თუ როგორ იყო საქმე და მართლა ქვის გული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ცრემლით არ აევსოს თვალები... თურმე ნუ იტყვით, სულ ყოვლიფერი ბ. ნ. ბრალი ყოფილა. ჩაუციებია თურმე ეს უკანასკნელი ბ. ს—ს: «მომკალი და წამომყევი ოსტროვსკისთანაო» და როდესაც ბ. ს—მა უპასუხა ამაზე, რომ რაღა წამოყოლა მინდა მასთან, როცა უიმისოთაც ვიცნობო,—ბ. ნ—მ, პირ-ჯვარის წერით და დედმამის ფიცით, დააჯერა თურმე, რომ ოსტროვსკი სულ შენ კითხვაშიაო... ამას გარდა, თვითონ ბ. ოსტროვსკიმაც უყო თურმე ამ დროს თვალი ლოჟიდამ ბ. ს—ს: «დაუჯერე მაგასო». რა უნდა ექნა აქ ბ. ს—ს? ის გაჰყვა ბ. ნ—ს ლოჟაში, მაგრამ შედგა ფეხი თუ არა შიგ—ყველამ ერთხმად მიაძახეს: ბ. გაბრიელ! საზოგადოება გიწვევს და მადლი მოახსენეო! ბ. გაბრიელმაც დაუჯერა სხვებს და, ლოჟაში შესვლისათანავე დაუწყო მადლის გადახდა საზოგადოებას...

ეხლა გკითხავთ მე თქვენ: ბოროტგანზრახულებაა ეს, აბა მაშ რაა! მერმე ვინ ჩაიდინა თურმე ეს ამბავი? ბ-მა ნ. ნ—მ.

— «ვაჰ! დრონო, დრონო!» ვიტყვით ჩვენც დასასრულ გულ-ამოსკვნით.

Дозв. ценз. Тифлисъ, 5 Ноября 18

ძალიან გაუკვირვებია ყველა ორლეანთა პრინცების მომხრენი, რადგანაც იმათ სრული იმედი ჰქონდათ, რომ გერმანიის იმპერატორი მონაწილეობას მიიღებდა მათს საქმეში მათს სასარგებლოდ.

— გაზეთები გვატყობინებენ, რომ გერმანიის და ავსტრო-ვენგრიის მმართებლობანი ცდილობენ თურმე რუსეთისა და ბულგარიის ერთმანეთში მორიგებას. ყველა სახელმწიფოებისთვის საჭიროა, რომ ისინი მორიგდენ და მათში ჩამოვარდნილს განხეთქილებას ცუდი რამ შედეგი არ მოჰყვეს; ადვილად შესაძლებელია, რომ ამ განხეთქილებამ «აღმოსავლეთის საქმე» აღძრას, და ამის გამო ორნი ზემოდ-ხსენებულნი სახელმწიფონი ურჩევენ მთავარს ალექსანდრეს ფრთხილად, თავდაჭერით მოქმედებას. ბერლინში დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთისა და ბულგარიის უთანხმოება შეიძლება მშვიდობიანად გათავდესო.

— ბულგარიის საქმეების შესახებვე იწერებიან, რომ ისინი ჯერ კიდევ აღელვებენ ევროპას. სოფიაში ძალიან კმაყოფილნი არიან, რომ გენერალი ლესოვოი კარგად მიიღეს პეტერბურგშიო; მოლაპარაკება შესახებ რუსეთის ოფიცრების ბულგარიის ჯარში სამსახურისა ჯერ-ჯერობით ჩინებულად მიდისო. ბულგარელებს გულ-წრფელად ამ საქმის მშვიდობიანად დაბოლოვება ჰსურთო, მაგრამ ამასთანავე ურჩევენ მთავარს ალექსანდრეს მტკიცედ დაიცვას თავისი უზენაესი უფლება ჯარზე, თუნდაც რომ ამისთვის მოუხდეს რუსის ოფიცრების სულ ერთიანად სამსახურიდამ დათხოვნაო. ბულგარიას სულ 16,500 ჯარი ჰყოლია; ამათს რიცხვში 185 რუსის და 1,400 ბულგარიელი ოფიცერია.

— ჩვენი გაზეთის წინა №№-ში რუსული გაზეთებიდამ გვქონდა მოყვანილი ცნობები იმის შესახებ, ვითომც ნემეცების ოფიცრები გადმოდიოდენ რუსეთის სამზღვარში, ათვალიერებდენ და სწავლობდენ მდებარეობას. ამის შესახებ ნემეცური გაზეთები იწერებიან, უეჭველია, ამ ცნობებს აზრათ ისა აქვს, რომ უფრო დააჯერონ რუსეთის ხალხი იმ შემცდარ ფიქრში, ვითომც გერმანია და ავსტრია საომრად ემზადებოდენო. ამ გვარი ხმების გავრცელებიდამ ის დასკვნა გამოჰყავთ ნემეცურს გაზეთებს, რომ რუსეთის სამზღვარი ცუდად უნდა იყოს დაცულიო.

ამას რუსული გაზეთები უმატებენ: «მართლაც და, როდესაც ჰკითხულობ ამ საკვირველ ამბებს, უნებურად გებადება თავში ფიქრი: მაშ სად არის ის იმოდენა ჯარი, რომელიც, ზოგიერთა ჯარების გამავრცელებელთა სიტყვით, რუსეთმა გერმანიის სამზღვარზე შეკრიბა»?


## განცხადებანი

არწრუნის თეატრი.

დღეს, 6 ნოემბერს

ქართული დრამატიული დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

### ქოროღლი

ტრაგედია ხუთ მოქმედებად, თხზულება ზ. ანტონოვისა.

დასაწყისი 8 საათზედ. (2—2)

ოპერატორს, მედიცინის დოქტორს

### ქიუჩარიანცს

აქვს ბაღის ქუჩაზედ (Садовая ул.) განსაკუთრებული სამუდამო სადგური ავად-მყოფებისათვის, რომელთაც სიფილისი სჭირთ, ან შარდისა და საშვილოსნო ორგანოები სტკივათ, ან კიდევ ხირურგიული ოპერაციები ეჭირვებათ. (14—7)

კავკასიის აქეთა მხრის გზის გამგეობა.

იწვევს მათ, ვინც ისურვებს შეშის იჯარით აღებას ამ გზის სტანციებისთვის თბილისიდამ მოყოლებული ბაქომდენ. სთხოვენ, შეშის ფასებზე და იჯარის პირობებზე განცხადებანი გამოგზავნონ გზის გამგეობაში, მატერიალური სამსახურის უფროსის სახელზე. (6—2)

### ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
| --- | --- |
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: სოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდის. (100—64)

ქალის პალტოები, კაცის ქუდები და სხვ. იყიდება იაფ ფასად ინგლისის მაღაზიაში, რომელიც არწრუნის გალერეაში იმყოფება. (10—10)



სომხის სასულიერო სემინარიის ნერსესიან

მზრუნველობის რჩევაში, 16-ს ამ ნოემბრისას სადამოს რვა საათზე იქნება ვაჭრობა განუმეორებლად იჯარით გაცემაზე იმ უძრავი მამულისა, რომელიც ეკუთვნის ხსენებულს სემინარიას და შეწირულია განსვენებულის ნარჯუთინ ოქროევისგან; ეს მამული მდებარებს რიყეზე № 49, პირობების წაკითხვა შეიძლება მზრუნველების კანცელარიაში, გარდა კვირა და უქმე დღისა, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ შუადღის 12 საათამდინ. (3—1)

## СЪ 1-го ЯНВАРЯ 1884 ГОДА

### ВЪ ТИФЛИСѢ БУДЕТЪ ИЗДАВАТЬСЯ

НОВАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ (350 НУМЕРОВЪ ВЪ ГОДЪ) ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКАЯ

## ГАЗЕТА

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ"

подъ редакціею А. В. СТЕПАНОВА (бывш. редакторъ «Юрид. Обозр.»

Объемъ газеты — печатный листъ средняго формата; программа — общая всѣмъ литературно-политическимъ ежедневнымъ изданіямъ.

Подписная цѣна съ пересылкою и доставкою: на годъ—10 руб.; на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 50 к., на 1 мѣс.—1 р. 50 к.

Подписка (городская и иногородная) и объявленія (по 5 коп. за строку петита) принимаются въ Тифлисѣ исключительно въ Газетномъ Агентствѣ В. Шавердова; въ С.-Петербургѣ-же и Москвѣ—въ книжныхъ магазинахъ «Новаго Времени».

Временное (до 15-го декабря) помѣщеніе редакціи: Давидовская ул., д. Кананова, квартира редактора.

За газетой обезпечено постоянное сотрудничество: кн. К. А. Бебутова, Вс. М. Гаршина, П. А. Измайлова, С. Н. Кривенко, Н. Я. Николадзе, П. А. Опочинина, А. Н. Плещеева, И. Ф. Тхоржевскаго, Гл. И. Успенскаго, Н. А. Шаврова. (20—2)

ინგლისის მაღაზიაში

### თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—64)



### მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე 1883 წ.

| | | |
| --- | --- | --- |
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა — | —1 გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 გ. | $2^1/_2$ |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 გ. | 3 კ. |
| მესამისა — | —1 გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გ. | 7 კ. |
| ღორის ღორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გ. | 10 კ. |
| მეორის — | —1 გ. | 9 კ. |


## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.

Дозв. цензур. Тифлисъ, 5 Ноября 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.